

დადგენილება

სადოქტორო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქცია (შემდგომში – ინსტრუქცია) განსაზღვრავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების მიერ სადოქტორო პროგრამის წარდგენის წესებს;
2. თსუ ფაკულტეტების მიერ დოქტორანტურაში მიღება ცხადდება კონკრეტულ სადოქტორო პროგრამებზე.

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამა

1. ფაკულტეტი დოქტორანტურაში მიღებას აცხადებს კონკრეტულ სადოქტორო პროგრამებზე.
2. სადოქტორო პროგრამა ადგენს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს.
3. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი ნაწილისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებით.
4. სადოქტორო პროგრამაში ჩართულ დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი და აქვს კონკრეტული კვლევითი პროექტი, რომელიც მიესადაგება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის პრობლემატიკას/სფეროს.
5. სადოქტორო პროგრამაში ერთიანდებიან დოქტორანტები კვლევით ჯგუფებად, ჩართულნი არიან თანხმლებ სასწავლო პროგრამასა და სწავლების პროცესში. თითოეული დოქტორანტი უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელით.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის სახეები

1. სადოქტორო პროგრამა შეიძლება იყოს დარგობრივი, დარგთაშორისი (ინტერდისციპლინური) ან თემატური.
2. თემატური სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ცალკეული მეცნიერული პრობლემის კვლევაზე და იგი ხორციელდება ეროვნული ან საერთაშორისო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის ბაზაზე.
3. დაფინანსებული კვლევების ბაზაზე განხორციელებული სადოქტორო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) სადოქტორო პროგრამის თემატიკა, საკვლევო პრობლემატიკა ემთხვევა საგრანტო პროექტის თემატიკას, საკვლევ პრობლემატიკას;
 - ბ) საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა არის არანაკლებ ორი წელი;
 - გ) საგრანტო პროექტის მონაწილეთა შორის საგანგებოდ არის მითითებული დოქტორანტი. თუ საგრანტო პროექტი ითვალისწინებს რამდენიმე დოქტორანტის მონაწილეობას, მაშინ მითითებულია მათი ზუსტი რიცხვი;

- დ) საგრანტო პროექტი ითვალისწინებს დოქტორანტის (დოქტორანტების) ანაზღაურებას შესრულებული კვლევითი სამუშაოსათვის;
- ე) შესაძლებელია აგრეთვე, რომ სამეცნიერო გრანტი ითვალისწინებდეს კვლევისათვის და სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას ან გაუმჯობესებას (იგულისხმება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზა, ლაბორატორია, დანადგარები, რეაქტივები და სხვ.).
- ვ) შესაძლებელია აგრეთვე, რომ სამეცნიერო გრანტი ითვალისწინებდეს დოქტორანტის (დოქტორანტების) სამეცნიერო ექსპედიციის/მივლინების/სტაჟირების/კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსებას.
4. სადოქტორო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და ინსტიტუტებთან, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.
5. ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ წარმოდგენილ მოთხოვნათა ნახევარზე მეტს:
- ა) პროგრამას ჰყავს ქართველი და უცხოელი თანახელმძღვანელი.
- ბ) კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის (კვლევითი ცენტრის) შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი (მკვლევარი).
- გ) პროგრამა შემუშავებულია მისი განმახორციელებელი ქართული და უცხოური უნივერსიტეტის (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) მოთხოვნების შესაბამისად.
- დ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) პროფესორი (მკვლევარი), რომელიც გარკვეული პერიოდულობით ჩამოდის და ჩვენს სტუდენტებს უკითხავს ინტენსიურ სალექციო კურსს/კურსებს ან მათ სთავაზობს დისტანციურ სწავლებას.
- ე) პარტნიორი უნივერსიტეტის (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) პროფესორი (მკვლევარი) ხელმძღვანელობს/თანახელმძღვანელობს სადისერტაციო ნაშრომს/ნაშრომებს.
- ვ) პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლას.
- ზ) პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

ა, გ და ე პუნქტების მოთხოვნათა დაკმაყოფილება სავალდებულოა.

ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დამტკიცება თსუ აკადემიური საბჭოს მიერ ხდება მხოლოდ პარტნიორი უნივერსიტეტიდან (კვლევითი ცენტრიდან) თანხმობის მიღების შემთხვევაში (თანხმობის წერილი იხ. ფორმა 1).

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის დამტკიცებიდან 6 თვის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის უნდა გაფორმდეს სპეციალური ხელშეკრულება ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განხორციელების შესახებ.

6. სადოქტორო პროგრამები შეიძლება გაერთიანდეს სადოქტორო სკოლებში, ინტერდისციპლინურ ცენტრებში და ა. შ.

7. ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის მიღება ცხადდება ე. წ. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამებზე. ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა ეწოდება პროგრამას, რომელიც არ შეიცავს სასწავლო კომპონენტს და განკუთვნილია იმ ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისთვის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ე. წ.

საკანდიდატო მინიმუმის საგნები 1999–2006 წლებში. ინდივიდუალურ ანუ გარდამავალი პერიოდის სადოქტორო პროგრამას ამზადებს და დოქტორანტებს სთავაზობს ესა თუ ის მსხვილი დარგი/თსუ მიმართულება. კონკრეტული ასპირანტებისა და მაძიებლების გვარებისა და საკვლევ თემების დასახელება საჭირო არ არის.

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

1. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე სრული ან ასოცირებული პროფესორი, სადოქტორო პროგრამის შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის საერთო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს მოწვეულმა, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირმა. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. დარგთაშორის (ინტერდისციპლინურ) სადოქტორო პროგრამას უნდა ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი.

2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები; სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას; ორგანიზებას უკეთებს სადოქტორო პროგრამის საჯარო განხილვას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების სხდომაზე.

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუა მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: სტუდენტების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარში, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.

5. სრული ან ასოცირებული პროფესორი (ასევე მოწვეული, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის პირი) შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (შეზღუდვა არ ეხება ე. წ. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამებს, რომლებიც განკუთვნილია ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისთვის).

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა

1. სადოქტორო პროგრამა განიხილება ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა, მიმართულება და ა. შ.) სხდომაზე ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის (მოწვეული პედაგოგების) მიერ. გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. დარგთაშორისი (ინტერდისციპლინური), ინტერფაკულტატური სადოქტორო პროგრამა განიხილება მის განხორციელებაში ჩართული ფაკულტეტების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა, მიმართულება და ა. შ.) ერთობლივ სხდომაზე ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის (მოწვეული პედაგოგების) მიერ.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განხილული პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ან პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს (დარგთაშორისი, ინტერფაკულტატური სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში).
3. ფაკულტეტის (ფაკულტეტების) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას სადოქტორო პროგრამის მომზადების ინსტრუქციასა და ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან. ფაკულტეტის (ფაკულტეტების) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გადაწყვეტილებას იღებს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით.
4. ფაკულტეტის (ფაკულტეტების) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის (ფაკულტეტების) საბჭოს.
5. ფაკულტეტის (ფაკულტეტების) საბჭო განიხილავს პროგრამას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
6. ინტერფაკულტატური სადოქტორო პროგრამის ადმინისტრირებას ახდენს ერთ–ერთი ფაკულტეტი პროგრამის ხელმძღვანელების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და ფაკულტეტების ადმინისტრაციის შეთანხმების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ფაკულტეტი უნდა მიეთითოს პროგრამის აღწერილობაში.

მუხლი 6. სადოქტორო პროგრამის რეკვიზიტები

წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება.

- შესაძლებელია დაემთხვეს ზოგადი დისციპლინის (დარგის) დასახელებას;
- შესაძლებელია იყოს ინტერდისციპლინური, მულტიდისციპლინური;
- შესაძლებელია იყოს თემატური, ცალკეული მეცნიერული პრობლემის კვლევაზე ორიენტირებული (დაფინანსებული კვლევების შემთხვევაში);

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულად და ინგლისურად).

- მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმულირება ხდება ერთიანი პრინციპით: კონკრეტული დარგის (ინტერდისციპლინური სფეროს) სახელწოდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით + დოქტორი (მაგალითად, ფილოსოფიის დოქტორი, ფიზიკის დოქტორი, სამართლის დოქტორი და სხვ.).

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (წარმოადგინეთ CV).

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი:

- დაასაბუთეთ პროგრამის აქტუალობა და დააფიქსირეთ სავარაუდო საკვლევი პრობლემები.

ბ) პროგრამის შედეგი:

- მიუთითეთ ის დარგობრივი ცოდნა და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარი, ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები, რომლებსაც შეიძენს სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

- მიუთითეთ რომელი დარგის (დარგების) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები დაიშვებიან.

6. სასწავლო კომპონენტი.

- იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, წარმოდგენილი უნდა იყოს პრაქტიკის პროგრამა (სილაბუსი).

- არც ერთი სასწავლო კურსის სილაბუსის წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

- იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით შემუშავებულია კვლევის მეთოდების მოდული (5-15 კრედიტი) ან სპეციფიკური დარგობრივი კურსები (5-15 კრედიტი), წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი სილაბუსები და უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია კვლევის მეთოდების მოდული (5-15 კრედიტი) ან სპეციფიკური დარგობრივი კურსები (5-15 კრედიტი) უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის გარეშე, მაშინ სილაბუსი წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც ქართულად, ისე ერთ-ერთ ევროპულ ენაზე

(ინგლისურად, გერმანულად ან ფრანგულად), რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი საერთაშორისო ექსპერტიზა.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

- მიუთითეთ შესაბამისი კომპიუტერული რესურს-ცენტრი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია და სხვ.

8. მიუთითეთ რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე.

9. პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალის (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების) ბიოგრაფიული მონაცემები (CV).

10. ხელშეკრულება საქართველოს იმ სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან (სხვა დაწესებულებასთან/საწარმოსთან/ორგანიზაციასთან), რომელიც მონაწილეობას იღებს სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში.

11. თანხმობის წერილი უცხოეთის იმ პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, რომელიც მონაწილეობას იღებს სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში (ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის შემთხვევაში) (წერილის ნიმუში იხ.: **დანართი 1**). ხელშეკრულება ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის განხორციელების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას პროგრამის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

მუხლი 7 . სადოქტორო პროგრამაში ცვლილების შეტანა.

სადოქტორო პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხდება სადოქტორო პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8. სადოქტორო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების ვადები

სადოქტორო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების ვადებს ადგენს თსუ აკადემიური საბჭო თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 9. ინსტრუქციის მიღების და გაუქმების უფლებამოსილება.

1. ინსტრუქციას იღებს თსუ-ს აკადემიური საბჭო.
2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ინსტრუქციაში ან გააუქმოს იგი.

თანხმობის წერილი
ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის
განხორციელების შესახებ (ნიმუში)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, პროფ. _____

ბატონო _____ ,

უნივერსიტეტი/სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (*ორგანიზაციის სრული სახელწოდება*)
თანახმაა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან
თანამშრომლობით განახორციელოს ერთობლივი სადოქტორო პროგრამა (*სადოქტორო
პროგრამის სახელწოდება, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები პარტნიორი
ორგანიზაციებიდან*).

ერთობლივი სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი ორგანიზაციის
მონაწილეობას შემდეგი კომპონენტების განხორციელებაში: *კურიკულუმის შემუშავება,
ცალკეული სალექციო კურსის წარმართვა ჩვენი პროფესორების (მკვლევარების) მიერ,
სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სტუდენტების გაცვლა, ერთობლივი
ხარისხის მინიჭება და სხვ.*

უნივერსიტეტის რექტორის/
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ხელმოწერა
უნივერსიტეტის/სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბეჭედი
თარიღი